ელექტრონული საგადახდო დავალება N 387
"13" მაისი 2013

რეფერენსი
1925916669

გადამხდელის დასახელება:	შპს "რესტავრატორები და კომპანია"
ანგარიში (დებეტი)	GE46BG0000000248620100GEL 248620100(ძველი ანგ.)
გადამხდელის ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი: BAGAGE22
გადამხდელის დასახელება:	შპს "რესტავრატორები და კომპანია"
საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი:	205047199
მიმღების დასახელება:	სსიპ "კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო"
საიდენტ. კოდი:	
ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი)	GE52BR0000010591718543
მიმღების ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა"	ბანკის კოდი: REPLGE22

თანხა	50-00
თანხა სიტყვებით	ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი
ბანკის აღნიშვნები	
ბანკში შემოსვლის თარიღი:	
გატარებულია ბანკის მერ:	13.05.13
ხელმოწერა	

"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
შექმნილია ინტერნეტ ბანკში
CREATED IN INTERNET BANK

გადახდის დანიშნულება: შემსყიდველი: სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" ს/კ 204562311 კონკურსანტი: შპს "რესტავრატორები და კომპანია" ს/კ 205047199 საკონკურსო განცხადების ნომერი : #743

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები: ხელმძღვანელი

ბ. ს.

საკონკურსო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #T30956-13

თბილისი 13 მაისი 2013 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")

გარანტის საიდენთიფიკაციო კოდი: 204378869

გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

პრინციპალი: შპს რესტავრატორები და კომპანია (შემდგომში „პრინციპალი")

პრინციპალის საიდენთიფიკაციო კოდი: 205047199

პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის III მ-ნი, I კვარტ. კორპ.11 ბ.39

ბენეფიციარი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი")

საგარანტიო თანხა: 180 (ასოთხმოცი) ლარი

ვითვალისწინებთ რა, რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი საკონკურსო წინადადება ბენეფიციარის საკონკურსო კომისიის მიერ ჩხარის ოქონის სამრეკლოს რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

სს „საქართველოს ბანკი" ვიღებთ გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის ჯამურად 180 (ასოთხმოცი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ საკონკურსო წინადადების გახსნის შემდეგ პრინციპალმა უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე, თავისი საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრინციპალი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ბენეფიციართან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრინციპალი დისკვალიფიცირებულ იქნა კონკურსის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 14 ივლისი 2013 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებულ იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევ(ებ)ის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 5 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

წერილობითი ფორმით წამოყენებულ ბენეფიციარის მოთხოვნას საბანკო გარანტიაზე თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

დანართი N 1

1.რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს "რესტავრატორები და კომპანია"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: თამაზ იაქაშვილი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ I კვ. XI კორპ. ბ. 39

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ II კვ. კორპ. 3ა

საიდენტიფიკაციო კოდი: 205 047 199

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: (+995 32) 2 32 07 43, 5 77 444 618

ელექტრონული მისამართი: info@restavratorebi.ge

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE46BG 0000000 248 620 100

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 18 000 ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 2013 წლის 14 ივნისის ჩათვლით

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: 0%

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი

დანართი N 2

ინფორმაცია პროექტირების სფეროში პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

№	პროექტის დასახელება	შესსრულების თარიღი
1	ბაგრატის ტაძრის არქეოლოგიური და საინჟინრო–გეიოლოიური კვლევითი სამუშაოები	2005-2006 წ.
2	თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფასადის რესტავრაციის პროექტი	2006 წ.
3	სსიპ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულიმუზეუმის სარეაბილიტაციო და ახალი შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება	2007 წ.
4	აჭარის არქიტექტორთა კავშირის შემოქმედებითი სხლის ფასადის რესტავრაციის	2007 წ.
5	ქ. თბილისში, ასათიანის ქ. № 27/17, № 25/20, № 25, № 23/23, № 50, № 48, № 46, № 44, № 42ა; ტაბიძის ქ. № 21 და № 22 შენობების გარე ფასადების კომპლექსური რეკონსტრუქცია- რესტავრაციის საძირკვლებისა და მზიდი კონსტრუქციების გამაგრების, კომუნიკაციების: წყალსადენის, კანალიზაციის, სანიაღვრეს რეაბილიტაციის კომპლექსური პროექტის (მუშა/ესკიზური) მომზადება	2007 წ.
6	სოფ. წინანდალში,ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის საპროექტო კვლევითი სამუშაოები	2008 წ.
7	ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი	2008-2009 წწ.
8	ქ. თბილისში, ორბელიანის № 8 და № 10 სახლების რეაბილიტაციის პროექტი	2008 წ.
9	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის გარე ფასადის რესტავრაციის პროექტი	2009 წ.
10	ქ. თბილისში, ჯავახიშვილის № 6 , ინგოროყვას № 14 და ქურდიანის № 17 შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტი	2009 წ.
11	ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კორპუსის ფასადის (გუდიაშვილის ქუცის მხრიდან) რესტავრაციის პროექტი	2009 წ.
12	ბაგრატის ტაძრის ინტერიერის არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები	2010 წ.

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი

დანართი N 2

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული

საკონკურსო პირობებს;

- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი

ჩხარის ოქონის სამრეკლო

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯთაღრიცხვა

#	სამუშაოების ჩამონათვალი	ღირებულება ლარებში
	I ეტაპი	
1	განმარტებითი ბარათი	500
2	სიტუაციური გეგმა	400
3	ტოპოგრაფიული გეგმა	500
4	ფოტოფიქსაცია	450
5	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი	2620
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემა	650
7	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	650
8	არქოლოგიური ზედამხედველობა	1500
9	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა	1560
10	სახელოვნებათმცონეო კვლევა	1500
11	საშენ მასალათა კვლევა	1500
	II ეტაპი	
1	არქიტექტურული ნაწილი	2170
2	კონსტრუქციული ნაწილი	1500
3	ვერტიკალური გეგმარება	575
4	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი და კალენდარული გრაფიკი	1250
5	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა	225
6	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი	225
7	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი	225
	ჯამი	**18000**

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი

ჩხარის ოქონის სამრეკლო

კალენდარული გეგმა–გრაფიკი

#	სამუშაოების ჩამონათვალი	ღირებულება ლარებში	2013 წელი თვეების მიხედვით							
			VI		VII		VIII		IX	
	I ეტაპი									
1	განმარტებითი ბარათი	500								
2	სიტუაციური გეგმა	400								
3	ტოპოგრაფიული გეგმა	500								
4	ფოტოფიქსაცია	450								
5	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი	2620								
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემა	650								
7	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	650								
8	არქოლოგიური ზედამხედველობა	1500								
9	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა	1560								
10	სახელოვნებათმცონეო კვლევა	1500								
11	სამენ მასალათა კვლევა	1500								
	II ეტაპი									
1	არქიტექტურული ნაწილი	2170								
2	კონსტრუქციული ნაწილი	1500								
3	ვერტიკალური გეგმარება	575								
4	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი და კალენდარული გრაფიკი	1250								
5	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა	225								
6	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი	225								
7	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი	225								

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი

CV

გიორგი ციციშვილი

დაბადების თარიღი: 1957

ტელ: 2317317 574164633
Email: giatsitsishvili@yahoo.com

განათლება

1975-1980 – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი, არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება

2005-2012 კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა. არქიტექტორი

1996-2004 საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველო. ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი. წამყვანი არქიტექტორ-რესტავრატორი.

1991-1996 საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „საქრესტავრაცია". არქიტექტორ-რესტავრატორი.

1983-1991 საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. არქიტექტორ-რესტავრატორი.

ხუროთმოძღვრული ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაციის საავტორო პროექტები:

თბილისი. კალაუბნის რეაბილიტაცია: საადის ქ. №7. გომის ქ. № 13. ბეთლემის ქ. № 2/6. ჩახრუხაძის ქ. №15.

თბილისი. აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია. აღმაშ. №110, შენობის რესტავრაციის პროექტი, აღმაშ. №136, შენობის რესტავრაცია-რეკონსრუქციის პროექტი

თბილისი, სოლოლაკი. ლ. ასათიანის და გალაკტიონის ქუჩების რეაბილიტაციის პროექტი.

თბილისი. აღმაშენებლის გამზირი №103. ყოფილი სასტუმრო „ევროპა".

თბილისი. რუსთაველის პროსპექტი №№24,26,28. შენობების წასადების რესტავრაციის პროექტი.

თბილისი ლესელიძის ქუჩა №36. ქარვასლა. (XIXს.)

თბილისი, თავისუფლების მოედანზე 1992წ. სამოქალაქო ომის დროს დაზიანებული შენობების რესტავრაციის პროექტი.

გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი. კონსერვაციის პროექტის ავტორი: სამხრეთის (დავითის) და აღმოსავლეთის კარიბჭეები, ჩრდილოეთის სენაკები.

TACIS-ის პროგრამით მიმდინარე საერთაშორისო პროექტი „წითელი ხიდი". ძველი ხიდი (XVIIს.)

ხაშურის რაიონი, ხციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარი (XIს.)

თმოგვის ციხე. წმ. მარინეს სახ. გუმბათიანი ტაძარი. (XIVს.)

ნინოწმინდის რაიონი, ე.წ. ყაურმის ხიდი მდ. თაფარავანზე (XVI-XVII სს.)

„დავითბარეჯა". სამონასტრო კომპლექსები ლავრა და უდაბნო.

ახალქალაქის რაიონი სოფ. კუმურდო. გუმბათიანი ტაძარი. (XIს.)

ზარზმის წყარო (X-XI სს.)

ახალციხის „რაბათის" ციხე-კომპლექსი (შუასაუკუნეები)

ასპინძის რაიონი, ვანის ძვაბები (განვითარებული შუასაუკუნეები)

თელავი. „ბატონის ციხე" ე.წ. არჩილის კოშკი. (XVIIIს.)

ბოლნისის რაიონი, ეკლესია „აკვანება" (VIს.)

საფარის სამონასტრო კომპლექსი. (შუასაუკუნეები)

ახალქალაქი, ნაქალაქარი. ციტადელი. (განვითარებული შუასაუკუნეები)

თეთრიწყაროს რაიონი, პირღებულის სამონასტრო კომპლექსი (განვითარებული შუასაუკუნეები)

მცხეთის რაიონი, ნიჩბისის „ციციშვილების ციხე-კომპლექსი" (გვიანი შუასაუკუნეები)

მცხეთის რაიონი, ნიჩბისის „წმ. ნიკოლოზის" სახ. გუმბათიანი ტაძარი. (XVII ს.)

ქარელის რაიონი, სამწევრისის „ციციშვილების ციხე". (განვითარებული შუასაუკუნეები)

.ბორის რაიონი, „ბორიჯვარის" კომპლექსი. (გვიანი შუასაუკუნეები)

ახმეტის რაიონი, ხოდაშნის ციხე-დარბაზი. (XVII ს.)

მუხრანი, ივანე მუხრანბატონის სასახლე (XIXს.) წინასაპროექტო სამუშაოები

ენციკლოპედიური გამოცემა „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა". (კახეთის რეგიონი)

საავტორო პროექტები თანამედროვე არქიტექტურაში:

ქ. ბორი. ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის პროგრამა. წერეთლის გარსევანიშვილის, ჯუღაშვილის ქუჩების განაშენიანების არქიტექტურული პროექტი

ქ. წყალტუბო. რეაბილიტაციის პროგრამა. რკინიგზის სადგურის, მუსიკალური სკოლის, სამედიცინო ცენტრის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი

ქ. ყვარელი. რეაბილიტაციის პროგრამა. ჭავჭავაძის ქუჩის განაშენიანების არქიტექტურული პროექტი

დაბა გუდაური. შენობების რეკონსტრუქციის პროექტი

თბილისი, ავლაბარი, ნიორაძის ქუჩა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

თბილისი. მიქატაძის ქუჩა. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი.

თბილისი, „იყალთოს გორა", საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის არქიტექტურული პროექტი.

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

ArchiCAD.

ნატალია ჩიტიშვილი

პირადი მონაცემები

დაბადების თარიღი	29.06.1981, ქ. თბილისი
მისამართი	ქ. თბილისი, მეგრელიძის შესახვევი №3
ტელეფონი	239-66-32; 595 355955
ელ. ფოსტა	chitucio@yahoo.com

განათლება

1987-1996	თბილისი, 122-ე საჯარო სკოლა
1996-1998	თბილისის მრავალდარგოვანი ლიცეუმი
2000-2005	თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. სადიპლომო ნაშრომი: *„სვეტიცხოვლის საპატრიარქო საყდრის მოხატულობა“.*
2009-2011	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა: კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა. სამაგისტრო ნაშრომი: *„ქართლის მეტეხის ტაძარი: ისტორია და სიძველეები“.*

სამუშაო გამოცდილება

2003-2005 წწ.	ინტერნეტ პროვაიდერი „ჯეონეთი” – ოპერატორი.
2005-2009 წწ.	ინტერნეტ პროვაიდერი „კავკასუს ონლაინი” – ტექნიკური მხარდაჭერის ოპერატორი.
2011-2012	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი – სტაჟიორი (ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება).

2012 წლიდან	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი – მეცნიერ-თანამშრომელი (ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება).
2012 წლიდან	საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრი – თანამშრომელი.

სამეცნიერო აქტივობა

წიგნები:

- გ. ბოჭორიძე, *ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზ. სხირტლაძემ და ნ. ჩიტიშვილმა* (თბილისი, 2012), 460 გვ., 103 ტაბ.

სტატიები:

- კარბის წმ. სამების ეკლესია, *საქართველოს სიძველენი*, 12 (2008), გვ. 76-100 (ზ. სხირტლაძის თანაავტორობით).
- მასალები ქართლის მეტეხის ტაძრის ისტორიისათვის, *საქართველოს სიძველენი*, 14 (2010), გვ. 167-193.

კონფერენციები

- *სამეფო და სამღვდელმთავრო ნიშები და საყდრები შუა საუკუნეების საქართველოში,* მაგისტრანტთა და დოქტორანტთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია. 23-25 მაისი, თბილისი, 2010.

მონაწილეობა პროექტებში

- *კორპუსი - „ისტორია სახეებში: ისტორიულ პირთა გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში“* (2005-დან დღემდე) – მონაწილე.
- *ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან* (2009-2011) – მონაწილე.

ექსპედიციები

პროექტ „ისტორია სახეების“ ფარგლებში 2005 წლიდან დღემდე მოწყობილი ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ენები

რუსული	კარგად
ინგლისური	საშუალოდ

კომპიუტერული უნარები

Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint);

Abode Photoshop;

Abode InDesign.

საკვალიფიკაციო მონაცემი

სახელი, გვარი:	**დარეჯან მღებრიშვილი**
დაბადების თარიღი:	1955 წ. 26 აგვისტო
დაბადების ადგილი:	ქ. თბილისი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა:	დაუქორწინებული
სახლის მისამართი:	ქ.თბილისი, დოლიძის ქუჩა 11 კორ. 5 ბინა 41. ტელეფონი: 2334045 მობ. 593512346

განათლება:
1981-86წ.წ. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობა – ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

პროფესიული გამოცდილება:

1986 წლიდან 1991 წლამდე - სს „საქქალაქმშენსახპროექტი“ - ინჟინერ-გეოლოგი,
1991 წლიდან საქრესტავრაციაში ინჟინერ გეოლოგი,
2000 წლიდან ვმონაწილეობკულტურული მემკვიდრეობის სააგენყოს მიერ განხორციელებულ რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტებში (შესრულებული მაქვს ასზე მეტი პროექტი).

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- მამადავითის, დიდუბის, მარტვილის, ფოკის, ბოდბის, ნაბახტევის, ვაჩნაძიანის, გრემის, ნეკრესის და სხვა ეკლესია-მონასტრების კვლევა რესტავრაციის პროექტებისთვის
- თელავში ნადიკვრის ბაღისა და ბატონის ციხის გალავნის რეაბილიტაციის პროექტები;
- მაჩაბლის, კარგარეთელის, გუდიაშვილის მოედნის და სხვა ქუჩებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტებისათვის.

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCad, Microsoft Office.

CV

სახელი,გვარი	ზურაბ გაჩეჩილაძე
დაბადების თარიღი:	1940 წლის 19 მაისი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ეროვნება:	ქართველი
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული
მისამართი:	ქ. თბილისი ნუცუბიძის ქუჩა №48 ბინა 17
მობილური:	899 25 13 45
E-mail:	ivertmsheni1@mail.ru
განათლება:	უმაღლესი
1962-67 წწ.	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი
სპეციალობა:	მშენებელ-რესტავრატორი

ენები:
ქართული-მშობლიური
რუსული-სრულყოფილად

პროფესიული გამოცდილება:

1978-წლიდან	მუშაობს ძეგლთა დაცვის სისტემაში.
1999-2002წწ.	შ.პ.ს. „ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი”-ს მთავარი ინჟინერი.
2002-2007წწ.	შ.პ.ს. „ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი”-ს დირექტორი.
2007 წლიდან	ს.ს.”სამშენებლო კომპანია „ივერთმშენში” მშენებელ-რესტავრატორი.

სამუშაო გამოცდილება:

მის მიერ შესრულებულია აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები ისტორიისა და კულტურის შემდეგ ძეგლებზე: ვარძია, ზემო ვარძია, საფარა, ჭულე, ზარზმა, ბაგრატი, გელათი, ბოლნისის სიონი, წუღრუღაშენი, ფიტარეთი, ფოკა, ალავერი, ჯვარი,გ.ჩიტაიას სახელობის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის „სიღნაღური სახლი”, იუსტიციის სამინისტროს შენობის ფასადი, სამების ტაძრის ფასადის ნაწილი და სხვ.

CV

თამაზ იაქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ბერძენიშვილის ქ. № 4
ტელ: 2 22 41 52 ; 5 77 44 46 18

განათლება: უმაღლესი.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფიზიკის ფაკულტეტი.

კვალიფიკაცია: ტექნოლოგი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
(სპეც. "საშენ მასალათა ნაკეთობანი", თემა : "ქვის მასალების კონსერვაცია გაჟღენთვის მეთოდით არქიტექტურული ძეგლების ხანგამძლეობის გაზრდის მიზნით")

ცნობები საქმიანობის შესახებ:

1972 - 1983 წწ.	სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო გაერთიანება – სამეცნიერო კვლევითი ტექნოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი.
1983 – 1991 წწ.	დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.
1991 წლიდან	მთავარი ტექნოლოგი.
2003 წ.	ს.ს. "რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრი"-ს დირექტორი
2004 წ.	შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

პრაქტიკოს-რესტავრატორის გამოცდილება:

ვარძია (1973-1975), 2. უფლისციხე (1974-1977), 3. ეთნოგრაფიული მუზეუმის ობიექტები (1974-1978, 1988-1989), 4. ჯვრის ტაძრის ინტერიერი (1978), 5. ჰამამლოს ეკლესია (1978), 6. ლამაზი საყდარი (1979), 7. სვეტიცხოველი (1979), 8. წუღრუღაშენის გაწმენდა საღებავისა და ჭუჭყისგან (1980), 9. აკაურთას ეკლესიის ფასადის გაწმენდა (1980), 10. საფარას სამონასტრო კომპლექსის გაწმენდა (1980-1981), 11. გურჯაანის ყველაწმინდა (1980), 12. ვაჩნაძიანის ყველაწმინდა (1980), 13. მწვანე მონასტერი (1981), 14ნინოწმინდის ტაძარი (1981), 15. ბათუმის თამარის ციხე (1981), 16. ნოქალაქევი (1982), 17 წერაქვის სამონასტრო კომპლექსი (1982-1986), 18. ახალციხის რაბათის მეჩეთის გაწმენდა (1982), 19. ახალციხის სომხური ეკლესია (1983), 20. ვანის ნაქალაქარი (1983), 21. ზედა ვარძია (1983), 22. ზარზმის ეკლესიის გაწმენდა (1984), 23. ჭულეს გაწმენდა (1984), 24. ვანის ქვაბები (1984), 25. ბატონის სასახლე თელავში (1984), 26. ჩინთის კოშკი (1985), 27. გუდარეხი (1985), 28. აბანოების კომპლექსი თბილისის ძველ უბანში (1985-1986), 29. ჩრდილოეთ კავკასია, არხიზის სამონასტრო კომპლექსი (1986-1987), 30. ნიკორწმინდა (1983-1984, 1990-1991, 1996-1997), 31. ბაგინეთი (1989-1990, 200-2001), 32. ალავერდის ტაძარი (1990-1991), 33. ყოფილი ბანკის შენობა რუსთაველის გამზ. (1995-1996), 34. ეროვნული ბანკის შენობა (1997-1999), 35. საქართველოს ბანკის სათავო ოფისის შენობის ფასადი (2000), 36. რუსთაველის თეატრის შენობის ფასადი (2002), 37. ბათუმის ბავშვთა საბალეტო სტუდიის დარბაზი (2001-2003), 38. TBC ბანკის ცენტრალური ფილიალის შენობის ფასადი (ყოფილი უნივერმაღის შენობა) (2002-2003), 39. რუსთაველის თეატრის დიდი და მცირე დარბაზების, ფოიეების, კორიდორების, კაფე "ქიმერიონის" სარესტავრაციო სამუშაოები (2003-2005), 40. კ. მარჯანიშვილის თეატრის სარესტავრაციო სამუშაოები (2004-2005), 41. ბამბის რიგები, "მონტაშოვის რიგების" პორტალი და აგურის ფასადი (2004), 42. ჯ. კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრის ფასადის და მოხატული დარბაზის სარესტავრაციო სამუშაოები (2005), 43. კონსერვატორიის დიდი და მცირე დარბაზები, ჰოლები, კორიდორები (2005), 44. მცხეთის ჯვრის საკონსერვაციო სამუშაოები ICCROM-ის სპეციალისტებთან ერთად. 45. TBC ბანკის ვერის ფილიალის ფასადი (2006), 46. ყიფშიძების საცხოვრებელი სახლი (XIX ს) ზემელზე, საბაგირო სადგურის უკან (2004-2006), 47. კონსერვატორიის შენობის ფასადების რესტავრაცია (2006-2007), 48. რუსთაველის გამზ. №26 ფასადის რესტავრაცია (2007), 49. ბათუმის არქიტექტორტა სახლის ფასადის

რესტავრაცია (2007), 50. რუსთაველის გამზ. № 18 და № 40 სახლების ფასადის რესტავრაცია (2008), 51. რუსთაველის გამზ. № 17 ფასადის გაწმენდა-რესტავრაცია (2008), 52. საჯარო ბიბლიოთეკის ფასადის რესტავრაცია (2008), 53. TBC ბანკის ბათუმის ფილიალის ფასადის რესტავრაცია, ინტერიერის სარესტავრაციო ნაწილის აღდგენითი სამუშაოები (2008), 54. წინანადალში ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოები (2008). 55. ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, ტექნოლოგი (2008-2009)

სამეცნიერო სამუშაოები:

გამოქვეყნებულია 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მათ შორის საზღვარგარეთაც.

მიღებულია 4 გამოგონებაზე საავტორო მოწმობები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ჩხარის ოქონის სამრეკლოს რეაბილიტაციის საპროექტო წინადადება

შ.პ.ს. "რესტავრატორები და კომპანია"

დირექტორი თ.იაქაშვილი

ქ.თბილისი

2013 წელი

ფოტოალბომი



აღმოსავლეთის ფასადი

ხედი
აღმოსავლეთიდან

აღმოსავლეთის
ფასადი. პორტალი

აღმოსავლეთის ფასადი
ლომის ბარელიეფი

ხედი
სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ჩრდილოეთის ფასადი

სამხრეთის ფასადი

ხედი
ჩრდილო-დასავლეთიდან

დასავლეთის ფასადი.
პორტალის ფრაგმენტი

დასავლეთის ფასადი

ინტერიერი.
პირველი სართული
შეისრული თაღი

ინტერიერი.
პირველი სართული
გუმბათის ფრაგმენტი

ინტერიერი.
პირველი სართული
გუმბათის ფრაგმენტი

შიდა კიბე

ინტერიერი.
მეორე სართული

ინტერიერი.
მეორე სართული

ინტერიერი.
მეორე სართული.
ორსაფეხურიანი
გუმბათქვეშა თაღი

შიდა კიბე

ინტერიერი. მეორე
სართულის გუმბათი

მესამე სართული.
ფანჩატური.
სარტყელის ფრაგმენტი

მესამე სართული.
ფანჩატური.
სარტყელის ფრაგმენტი

მესამე სართული.
ფანჩატურის სვეტის
კაპიტელი
(სავარაუდოდ)



წითელი კონტურით აღნიშნულია
გრაფიკული რეკონსტრუქცია

თეთრი კონტურით აგებულია
მოცულობა ადგილზე არსებულ
მასალაზე დაყრდნობით

არქ. ბექა გრემელაშვილი

რეაბილიტაციის წინადადება. არქიტექტურული ნაწილი

სოფ. ჩხარის განაპირას, ოქონის სერის ძირში, ქვის გალავნით შემოზღუდული სასაფლაოა.

სასაფლაოს ცენტრალურ ნაწილში, მიწის პირზე კარგად იკითხება დანგრეული ნაგებობის კონტურები, რომელიც სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო ჩხარის საკათედრო ტაძარი.

ნანგრევის აღმოსავლეთით აღმართულია სამრეკლო. ეს სამ დონიანი შენობა (მესამე ე.წ. ფანჩატურის სართული დღეს თითქმის სრულადაა დანგრეული), გვიანი ფეოდალური ხანის საყურადღებო ძეგლია.

1930 წელს სამრეკლოს აღწერს გიორგი ბოჭორიძე წიგნში „იმერეთი". ის აღნიშნავს - „ეკლესიის აღმოსავლეთით დგას ორსართულიანი ქვიტკირის სამრეკლო, მას თავზე ჰქონია „საზარე", რომელიც დღეს დანგრეულია. ასე, რომ თავდაპირველად სამრეკლო სამსართულიანი ყოფილა. (გიორგი ბოჭორიძე. თბილისი. „მეცნიერება" 1995წ. გვ. 197)

სამრეკლოს ფასადები თლილი ქვის კვადრებითაა ნაგები.

შენობის მთავარი, აღმოსავლეთის ფასადი საგანგებოდაა მორთული: შეწყვილებული ლილვით მოჩარჩოებულ კარის ღიობის თავზე, პორტალის თაღქვეშ, განედლებული ჯვრის ბარელიეფია; ფასადის ცენტრალურ ნაწილში, ჯაჭვით დაბმული ლომის გამოსახულებაა. მცენარეული მოტივით შემკული ჰორიზონტალური თარო, დეკორირებული ფრიზი, ფასადის მთელ სიმაღლეზე მოწყობილი ლილვები, ჯვრისა და ლომის ბარელიეფური აქცენტები ხაზს უსვამენ აღმოსავლეთის ფასადის მნიშვნელობას.

ანალოგიურადაა გადაწყვეტილი დასავლეთის ფასადის არქიტექტურაც.

აღსანიშნავია სამრეკლოს ინტერიერის მხატვრული სახე და მაღალი ხარისხის სამშენებლო ტექნოლოგია. სართულშუა გადახურვები გომბათოვანია. გუმბათები დაყრდნობილია ორსაფეხუროვან თაღებსა (თაღები შეისრული მოყვანილობისაა) და პილასტრებზე. პირველი სართულის გუმბათი აგურითაა ნაგები, ხოლო მეორე სართულის, თლილი ქვითაა ამოყვანილი.

ინტერიერის ძირითადი სამშენებლო მასალა ქვაა.

სამრეკლოს დაზიანებისა და ნაწილობრივი ნგრევის მიზეზი სავარაუდოდ იყო მიწისძვრა. ბზარები, რომლებიც მზიდ კონსტრუქციებში ჩანს, ვფიქრობთ ნაგებობის ძლიერი რყევის შედეგია (აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებზე, მთელ სიმაღლეზე განვითარებული გამჭოლი ბზარიც ამაზე მიუთითებს).

ფასადების თლილი ქვის ზედაპირი ეროზირებულია. ეს ერთის მხრივ გამოწვეულია თვით ქვის (კირქვა) რბილი სტრუქტურული აგებულებით (ეს სამშენებლო მასალა მეტად გავრცელებულია იმერეთში), მეორეს მხრივ ეროზიის პროცესი დააჩქარა სამრეკლოს საბურველის დაზიანებამ.

წინასაპროექტო შემოთავაზება მოიცავს შემდეგს:

1. შენობის კონსტრუქციული გაძლიერების წინადადებას (იხ. კონსტრუქციული ნაწილის ტექსტი)
2. შენობის კედლების (მცენარეული საფარი, სოკოვანი წარმონაქმნები და სხვ.) გაწმენდის და გაჯანსაღების ტექნოლოგიური სამუშაოების აღწერას (იხ. ტექნოლოგიური ნაწილის ტექსტი)
3. შენობის პირველი და მეორე სართულის სრული რესტავრაციის; მესამე, ფანჩატურის სართულის კონსერვაციის არქიტექტურულ გადაწყვეტას (იხ. გრაფიკული ნაწილი).

   სამხრეთ დასავლეთის კუთხესთან ფანჩატურის წრიული სარტყელის ამაღლებული ფრაგმენტია შემორჩენილი (იხ ფოტოალბომი ფურც. 8), რაც მიგვანიშნებს სარტყელის სიმაღლეზე.

4. შესაძლებლად მიგვაჩნია მესამე სართულის აღდგენაც. აქ განვიხილავთ არქიტექტურული გადაწყვეტის სამ ვარიანტს.
ა/ რეაბილიტაციის პროექტის მიმდინარეობისას (პროექტირების პროცესში), სამრეკლოს მიმდებარე ტერიტორიაზე (სასაფლაო), გალავნის კედლებში და სოფ. ჩხარში მოვიძიოთ სამრეკლოს ავთენტური სამშენებლო მასალა, რომელიც აღდგენის შესაძლებლობას მოგვცემს. (არქიტექტურული დეტალი, რომელიც პირველ სართულზეა გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა ყოფილიყო ფანჩატურის სვეტის კაპიტელი. იხ. ფოტოალბომი ფურც. 8)
ბ/ ავთენტური მასალის ნაკლებობის (მასალის არასრული სურათის) შემთხვევაში დასაშვებად მიგვაჩნია ფანჩატურის აგება მსუბუქი ბეტონის კონსტრუქციით, რომლის მოცულობა არ შექმნის მკვეთრ დისონანსს ძეგლის ძველ ნაწილთან (შესაძლებელია ბეტონის ელემენტების ზედაპირის ტექსტურული დამუშავება).
გ/ ფანჩატურის მოწყობას ხის არქიტექტურაში.

გ. ციციშვილი

ბიბლიოგრაფია: სოფ. ჩხარის (თერჯოლის რაიონი) განაპირას, ოქონის სერის ძირში, ქვის გალავნით შემოზღუდული სასაფლაოა. მის ცენტრალურ ნაწილში ჯერ კიდევ იკითხება ძველი ტაძრის კონტურები, რომელიც XIX-XX საუკუნეებში უნდა დანგრეულიყო. ეკლესიის აღმოსავლეთით, გალავნის კედელში ჩართულია სამ სართულიანი სამრეკლო. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნაგებობა არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი, თუმცა ცალკეულ ავტორთა გამოცემებში მცირედი ცნობები მაინცაა დაცული.

სამრეკლოს პირველად გიორგი ბოჭორიძე იხსენიებს. თავის წიგნში *„იმერეთი“* (თბილისი, 1995, გვ. 197) ის წერს: *„ეკლესიის აღმოსავლეთით დგას ორსართულიანი ქვიტკირის სამრეკლო (სურ. 28); მას თავზე ჰქონია „საზარე“, რომელიც დღეს დაქცეულია. ასე რომ, თავდაპირველად სამრეკლო სამსართულიანი ყოფილა. კარი აქვს დასავლეთით; კარის თავზე გამოქანდაკებულია ლომი, დაბმული ჯაჭვით. მაღლითა სართულებში ასასვლელად გამართულია ქვა-კიბე. ეკლესიის ნაშთისა და სამრეკლოს გარეშემო არის ძველი გალავანი ქვიტკირისა.“*

გ. ბოჭორიძის შემდგომ, მალევე, სამრეკლო ნახა ნ. ბერძენიშვილმა, 1932 წელს იმერეთში მოწყობილი ექსპედიციის დროს. ექსპედიციის მასალებში (ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, I (თბილისი, 1964), გვ. 10) გაკვრითაა საუბარი სამრეკლოს შესახებ, სადაც ნ. ბერძენიშვილი აგების პერიოდად ზოგადად ე.წ. კლასიციზმის ხანას ასახელებს.

ასევე გაკვრით ახსენებს ჩხარის სამრეკლოს ვ. ბერიძეც, თავის მონოგრაფიაში – *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1994, გვ. 113, სურ. 76). თბილისის სიონის გუმბათის ყელზე გამოსახული „მიჯაჭვული“ ლომის რელიეფური გამოსახულების (XVIII საუკუნის 10-ანი წლები) განხილვისას მას მოყავს თანადროულ ძეგლთა ჩამონათვალი (ანანური, დავით გარეჯის ლავრის შესასვლელი), სადაც მსგავსი კომპოზიციაა გამოსახული; ამ ჩამონათვალში ის ჩხარის სამრეკლოსაც ახსენებს. ამდენად, ვ. ბერიძე, ნ. ბერძენიშვილისაგან შედარებით, კიდევ უფრო აკონკრეტებს სამრეკლოს აგების თარიღს და მას XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისს განაკუთვნებს.

შედარებით ვრცლად საუბრობს ჩხარის ეკლესიის სამრეკლოზე კ. ხარაძე. თუმცა, როგორც ჩანს, მისთვის მხოლოდ ნ. ბერძენიშვილის ექსპედიციის მასალები იყო ცნობილი და შესაბამისად სამრეკლოს აგების პერიოდის ბერძენიშვილისეულ დათარიღებას იმეორებს – „კლასიკური ეპოქა“ (კ. ხარაძე, *ჩხარი: ისტორიულ-*

გეოგრაფიული ნარკვევი (თბილისი, 2001), გვ. 85-87; მისივე, *ჩხარის წმიდა გიორგის მონასტერი* (თბილისი, 2003), გვ. 18).

2003 წელს, ჟურნალ „საქართველოს სიძველენში“ დაბეჭდილ სტატიაში ე. კვაჭატაძე (ქოლაგირის ციხის კარიბჭის „მიჯაჭვული“ ლომების რელიეფები, *საქართველოს სიძველენი,* №3, 2003, გვ. 127-136) იძლევა სამრეკლოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე გამოსახული ლომების სტილისტურ ანალიზს და შედარებას სხვა ძეგლებზე არსებულ მსგავს გამოსახულებებთან, აქვე ის თარიღად XVII საუკუნეს უთითებს (ე. კვაჭატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131-132, სურ. 9).

აღწერა: სამრეკლო გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობის ნაგებობაა. ნაგებია კარგად თლილი კირქვის კვადრებით. როგორც ჩანს, სამრეკლო მოგვიანებით განუახლებიათ; ეს ჩანს აღმოსავლეთ ფასადზე ფრონტონის არეში ასებული წყობითა და სხვა ფასადებზე არსებული მსგავსი ტიპის წყობაზე დაკვირვებით.

ნაგებობის პირველი სართული კარიბჭეს წარმოადგენს, მის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში გასასვლელებია გაჭრილი. აღმოსავლეთი ფასადის სწორკუთხა კარი ამჟამად ამოქოლილია. კარის ღიობი მოჩარჩოებულია ორმაგი ლილვოვანი სარტყლით, რომელთა ძირებიც ორმაგ ბურთულებზეა დაფუძნებული. ეს შესასველი ერთიანად კედლის სიღმეშია ჩაძირული, ზემოდან მას თაღი გადაუყვება, ხოლო ქვემოთ, კარის ორივე მხარეს კედელი მაღალი, სწორკუთხა „შვერილებადაა“ შემოწეული. კარის ღიობის ზედა ნაწილში, თაღის ქვემოთ განედლებული ჯვრის რელიეფია გამოსახული. აღმოსავლეთი ფასადის სიბრტყე, გარდა თაღოვანი პორტალისა ზედა ნაწილში სწორკუთხა არეებად, ორ დონედაა დაყოფილი. დანაწევრება ხდება ლილვოვანი პილასტრებისა და თაროს პროფილის ჰორიზონტალური ფრიზის მეშვეობით. I დონე შემოწერს პორტალს, ინტერიერში დაახლოებით პირველი სართულის დონის ტოლია, ხოლო II დონე მოიცავს დაახლოებით იმავე ზომის არეს, როგორიც პირველია. ამ უბეში გამოდის აღმოსავლეთის ფასადის (II სართულის) ერთადერთი სარკმელი. ამ სარკმელს, თავის დროზე, როგორც ჩანს, ორნამენტული საპირე ექნებოდა შემოვლებული, თუმცა, ამჟამად მისი კვალი ქვის გამოქარვის გამო სრულიად დაკარგულია. ამავე უბის ქვედა ნაწილში ფრიზთან ახლოს ჯაჭვით დაბმული ლომის რელიეფია წარმოდგენილი. სწორკუთხა თარაზულ ფრიზთა ზედაპირები სტილიზებული მცენარეული სახეებითა და ჯვრებითაა გამშვენებული. სამრეკლოს ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ზედაპირი სრულიად სადაა, თუმცა სამხრეთი კედლის ზედა მონაკვეთში (II სართულის დონეზე) გაჭრილი სარკმლის მოჩარჩოებას სავარაუდოდ ორნამენტული საპირე უნდა ჰქონოდა; ამჯამად, ის ძლიერაა დაზიანებული, მაგრამ

მარცხენა ქვედა კუთხეში მცირე მონაკვეთზე შეინიშნება ლილვოვანი სახის ფრაგმენტი.

რაც შეეხება დასავლეთ ფასადს, მისი დეკორატიული შემკულობა გარკვეულწილად იმეორებს აღმოსავლეთი ფასადის შემკულობას, მის დანაწევრებას ლილვოვანი პოლასტრებისა და სწორკუთხა ფრიზების მეშვეობით; თუმცა, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, ამ ფასადის კარი თაღოვანი მოყვანილობისაა, რომელიც შექმნილია ისევ ორმაგი ლილვოვანი მოჩარჩოებისაგან.

ამ ეტაპზე ძნელია ითქვას, რა სახეს იძლეობა თარაზულ ფრიზთა დაბოლოება, გაუყვებოდა ის ფასადის კედელს სრულად, აკეთებდა კუთხეს და იკეცებოდა ქვემოთკენ, თუ მცირე მონაკვეთის შემდგომ სრულდებოდა. ამის დადგენა კვლევის შემდგომაა შესაძლებელი, თუმცა უნდა ითქვას, რომ დასავლეთ ფასადზე, ზედა ფრიზის მარცხენა მონაკვეთში (ისე რომ ფასადის ბოლომდე არაა გასული) ჩადგმულ ქვაზე ჩანს შემოკეცილი ნაწილი; ახლოდან დაკვირვებისა და ანალიზის შემდგომ, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნება ამ საკითხის გარკვევა.

დასავლეთ ფასადზე, კარის ღიობის ზემოთ, აქაც ჯვარია გამოსახული, თუმცა აღმოსავლეთისაგან განსხვავებით მას სხვა ნახატი გააჩნია, ჯვარი კვადრატულ ორნამენტულ ბუნზე დგას. აქაც გამეორებულია კარის მიმდებარე მონაკვეთის კედლის სისქეში ღრმად შეჭრის ხერხი. განსხვავებით აღმოსავლეთისაგან ამ ფასადზე სამი სარკმელია გაჭრილი, რომელთაგან ერთი, მარჯვენა, ცრუსარკმელს წარმოადგენს, რადგანაც ამ მხარესაა მოწყობილი სართულებს შორის ასასვლელი კიბის უჯრედი; ფასადზე ასიმეტრიულობის შემოტანისაგან თავის აცილების მიზნით ოსტატმა ამ ხერხს მიმართა.

სამივე სარკმლის სწორკუთხა საპირეების ზედაპირი ორნამენტებითაა დაფარული, რომელთა რეპერტუარიც შედგება საქართველოში კარგად ცნობილი სახეებისაგან, ამ მოტივთა გავრცელებას საკმაოდ დიდი დროითი დიაპაზონი აქვს, ისინი ცნობილია ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. მარცხენა სარკმლის დეკორისათვის გამოყენებულია ე.წ. წრე-რომბების მოტივი: ერთღარიანი ლენტოვანი წრეებისა და რომბების ერთმანეთში გადახლართვით მიღებული სახე, სადაც წრეები ერთმანეთთან მარყუჟებითაა გადაბმული და ეს მარყუჟები რომბების არეებშია მოქცეული; მარცხენა, ცრუსარკმლის საპირისათვის გამოყენებულია ერთმანეთში გადაბმული წრეების მოტივი; ხოლო ცენტრალური სარკმლისათვის შერჩეულია სამკუთხედად გაშლილი ლენტების წნულში გამოსული სამყურა ფოთლის მოტივი. რაც შეეხება თარაზულ ფრიზებს, აქედან მხოლოდ ქვედა ფრიზის შემკულობაზე შეგვიძლია საუბარი,

რადგანაც ზედა ფრიზის ძლიერი დაზიანების გამო მის არც ერთ მონაკვეთში არ იკითხება რაიმე სახის ორნამენტი. ქვედა ფრიზზე კი გამოსახულია ერთმანეთზე მიბმული წრეების ერთი რიგი, რომელთა შუაშიც ჯვრებია ჩასმული.

ყურადღებას იქცევს სამრეკლოს ინტერიერი, მისი მხატვრული სახე და მაღალი ხარისხის სამშენებლო ტექნოლოგია. სამრეკლოს შიდა პირი, მსგავსად ფასადებისა, სუფთად თლილი, ერთმანეთთან მჭიდროდ და გააზრებულად დაკავშირებული ქვითაა მოპირკეთებული. აქვე გამოყენებულია აგურიც. აგურს ოსტატი იყენებს პირველი სართულის გუმბათის ამოსაყვანად. სამწუხაროდ, პირველი სართულის გუმბათის შედარებით დიდი მოცულობა ჩანგრეულია. გუმბათები დაყრდნობილია ორსაფეხურიან, შეისრული მოხაზულობის თაღებსა და პილასტრებზე.

ბევრ კითხვას ბადებს სამრეკლოს მესამე სართულის გადაწყვეტა. ამ დონის ძირითადი ნაწილი მთლიანად მონგრეულია, დარჩენილია მხოლოდ გეგმის დონეზე წრიულად გაშლილი რამდენიმე რიგი ქვების წყობისა, რამდენიმე მონაკვეთში ეს დონე ოდნავ მაღალია. აქვე კარგად ჩანს აფრების (მეორე სართულის სფერული გუმბათისთვის გამოყენებული აფრული სისტემისათვის) გარე მოხაზულობაც. მესამე სართულის დონეზე არსებული მონაცემებიდან გამომდინარე (რაც ერთი შეხედვით შესაძლებელია რომ ჩანდეს) ცხადია, რომ ეს იყო წრიული გეგმის მქონე ფანჩატური, რომლის კედლის ქვედა დონე, სანამ მასზე სვეტები დაიდგმეოდა, შედარებით მაღალი უნდა ყოფილიყო, რაც შეეხება სვეტების ფორმასა (რომელიც შეიძლება წრიული მოხაზულობის ყოფილიყო, დაწახნაგებული, ან სულაც გვერდებ შეჭრილი) და ცალკეულ დეტალებს ამის შესახებ რაიმეს თქმა, მასალის არ ქონის გამო ძნელია. მომავალი კვლევისას შესაძლებელი იქნება (პარალელური მასალის მოძიებისა, თუ ადგილზე ახლად გამოვლენილი მასალის მოპოვების შემდგომ) გარკვეული დასკვნების გაკეთება, თუმცა, ამჟამად, იმ მცირე მონაცემებით რასაც ძეგლი იძლევა ეს შეუძლებელია.

ასევე პრობლემატურია გადასახურავ მასალაზე რაიმეს თქმა, რადგანაც არც ერთ მონაკვეთში მისი კვალი არ ჩანს. დასავლეთ ფასადზე, ფრონტონის მარჯვენა კუთხეში შემორჩენილია ძველი კარნიზი. ესაა მარტივპროფილიანი კარნიზი – წრეთარგი ლილვსა და თაროს შორის. ასევე, ჩვენთვის უცნობია როგორი ტიპის გადახურვა ექნებოდა მეორე სართულის ზედა ნაწილში არსებულ სწორკუთხა „უჯრედებს“, იქნებოდა ის ერთფერდა (რომლის მსგავსი, თანადროული პარალელური მასალის მოძიებაც არ იქნება რთული), თუ სხვა ტიპისა; აქვე უნდა ითქვას, რომ ეს „ბუდეები“ კარნიზის ქვების გარეშეა მოღწეული; თავდაპირველად,

რა თქმა უნდა, გადახურვა კარნიზის ქვის ზემოთ იქნებოდა დადებული, თუმცა რა ტიპის ლავგარდანი იქნებოდა ჩვენთვის უცნობია; უფრო მეტად სავარაუდებელია, რომ ის ძირითადი კარნიზის პროფილისა (შესაბამისად სხვა პროპორციების) უნდა ყოფილიყო. ამ საკითხების გარკვევა შემდგომი კვლევისას იქნება შესაძლებელი.

ძეგლის აგების თარიღი, მასზე არსებული რელიეფური გამოსახულებებით, ორნამენტთა ქვაზეკვეთილობის დამუშავებითა და ფასადების საერთო გადაწყვეტის ხასიათით, სავარაუდოდ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნით უნდა განისაზღვროს (შესაძლოა მომავალმა კვლევამ ცოტა მეტი სიცხადე შემოიტანოს თარიღთან მიმართებაში).

ნ. ჩიტიშვილი

რეაბილიტაციის წინადადება. კონსტრუქციული ნაწილი

თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის განაპირას სასაფლაოს ტერიტორიაზე გალავნის კედლებს შიგნით, აგებულია სამრეკლო. შემორჩენილია ორი სართული. მესამე სართული დანგრეულია, იკითხება ამ სართულის კონტურები.

სამრეკლოს ფასადები თლილი ქვის კვადრებითაა ნაგები. შენობა კარგი ნაგებია, წყობა მკვიდრია, წყობის შემაკავშირებლად ნახმარია კირის ხსნარი.

ნალექის, ქარისა და ტემპერატურის ცვალებადობამ დიდი ზიანი მიაყენა შენობას. მორყეულია ცალკეული ქვები, ზოგან ქვის წყობა გამობერილია.

შენობის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებს გასდევს ბზარები, რომლებიც იწყება საძირკვლიდან და სამრეკლოს მთელ სიმაღლეზე გასდევს. ბზარები გამოიწვია მიწისძვრამ.

შენობის მნიშვნელოვანი დაზიანება სახურავის არ არსებობამ გამოიწვია.

ჩანგრეულია სართულშუა გუმბათოვანი გადახურვები (მეორე სართულის გუმბათი გვიან შეუკეთებიათ). პირველი სართულის გუმბათი აგურისაა, ხოლო მეორესი თლილი ქვითაა ამოყვანილი.

შენობის რეაბილიტაციისათვის (გეოლოგიურ კვლევაზე დაყრდნობით) უნდა გამაგრდეს საძირკველი.

სამრეკლოს მთელ პერიმეტრსა და სიმაღლეზე საჭიროა აიგოს ძალოვანი ხარაჩო, სიგანით არა უმეტეს ორი მეტრისა. ეს ღონისძიება შენობის ფასადებზე დაზიანებული ქვის წყობის რესტავრაციისათვის არის გამიზნული.

შენობის კონსტრუქციული გაძლიარებისათვის, სართულშუა გადახურვების ორივე დონეზე, უნდა მოეწყოს ლითონის ჭიმები (კედლის მასაში, ბურღვის მეთოდით).

მორყეული ქვების დემონტაჟის, ნაპრალების და ბზარების გამორეცხვის შემდგომ, უნდა მოიჭიმოს მჭიმები, შემდეგ ნაპრალები, ბზარები და კედელში არსებული სიცარიელეები ამოივსოს ხსნარით (ხსნარით შევსება უნდა განხორციელდეს ქვემოდან ზევით).

სართულშუა გუმბათოვანი გადახურვები აღდგეს არქიტექტურული პროექტის მიხედვით

რაც შეეხება მესამე სართულს, კონსტრუქციული ნახაზები დამუშავდება არქიტექრურული პროექტის მიხედვით.

კონსტრუქტორ-ინჟინერი ზ. გაჩეჩილაძე

სოფ. ჩხარის ოქონის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს ვიზუალური საინჟინრო გეოლოგიური

დ ა ს კ ვ ნ ა

სოფელი ჩხარი მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, თერჯოლიდან მე-9 კილომეტრზე.

სოფელი ჩხარი განთავსებულია ზღვის დონიდან 280 მეტრზე, მდინარე ჩხარის ზემოთში, ეგრეთწოდებულ იმერეთის ჩრდილო მთისწინეთში.

ოქონის წმ. გიორგის ეკლესიის სამრეკლო განთავსებულია სოფელ ჩხარში ჩრდილოეთით, სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე.

სასაფლაოს და მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ქვედა და შუა სარმატული ასაკის N_1^s $_{1+2}$ ზღვიური მოლასები – თიხები, ქვიშაქვები, კონგლომერატები, მერგელები და კირქვები.

რელიეფის დახრა სამრეკლოს ტერიტორიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთურია.

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, სამრეკლოს უბანი და მიმდებარე ტერიტორია მდგრადია – არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ჩამოქცევები) არ აღინიშნება.

სამრეკლოს უბნის დათვალიერებით ირკვევა შემდეგი: ნაგებობა როგორც ჩანს სამსართულიანი ყოფილა, ამჟამად დანგრეულია ეგრეთწოდებული საზარე (მესამე სართული).

სამრეკლოს ფასადები თლილი ქვის კვადრებითაა ნაგები.

ცნობილია, რომ ამ რეგიონში სუბტროპიკული, საკმაოდ ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და მშრალი, ცხელი ზაფხული. კარგად არის გამოხატული მუსონური ქარები.

სწორედ ჰავის ასეთ თავისებურებებს უნდა მივაწეროთ სამრეკლოს საპირე ქვების ეგზოგენური (ქარი, წვიმა, თოვლი) პროცესების გავლენით ძლიერ გამოფიტვა.

სამრეკლოს დაზიანების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია ნაგებობაზე ხანგრძლივი (80-90წ.წ.) განმავლობაში გადახურვის არარსებობა.

ნაგებობის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე დაიკვირვება სერიოზული დეფორმაციები ბზარების სახით.

შესაძლოა ბზარები სეისმურ ხასიათს ატარებენ და შენობის შერყევით არის გამოწვეული.

თუმცა, ზემოთ აღნიშნულს ნათელს მოჰფენს სამრეკლოს ნაგებობის საძირკვლების ზომების, კონფიგურაციის და ფუძის გრუნტის დასადგენად გეოლოგიური გამონამუშევრების (შურფების) გაყვანა, რის საფუძველზეც შედგება ზუსტი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, სათანადო გრაფიკული მასალის შედგენით.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ზემოთ თქმული ეფუძნება ვიზუალური აღწერის მონაცემებს.

ინჟინერ-გეოლოგი დ. მღებრიშვილი

რეაბილიტაციის წინადადება

ტექნოლოგიური ნაწილი

სამრეკლოს მშენებლობისას საშენ მასალად გამოყენებულია კირქვის (ე.წ რბილი კირქვები) კვადრები და კირის ხსნარი . კედლების ჭრილი წარმოდგენილია კვადრებით აგებული გარე და შიდა შრეებით, რომელთა შორის მოცულობა შევსებულია კირხსნარ ნარევი ბუტით.

ქვის კვადრების ზედაპირი მშენებლობის დროს დამუშავებული იყო ტარახით, თუმცა ეროზიის ინტენსიურმა პროცესებმა, რომლებიც გამოწვეულია ძირითადად ატმოსფერული ზემოქმედებით, ფასადის უდიდეს ნაწილზე დამუშავებული ზედაპირი მთლიანად გაანადგურა.

ძეგლზე დასახელებულია როგორც უმდაბლესი (ხავსები, ლიქენები, წყალმცენარეები), ისე უმაღლესი მცენარეები (ბალახები, ბუჩქოვანი და ხე–მცენარეები), რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ძეგლს.

აუცილებლად მიგვაჩნია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება ქიმიური გზით და ძეგლის ტანიდან მათი მთლიანად მოცილება.

რესტავრაციის პროცესში, ეროზიის პროცესების სიჩქარის შესამცირებლად, ქვის ზედაპირის გაწმენდის შემდეგ აუცილებელი იქნება მათი ჰიდროფობიზაცია.

ასევე აუცილებელია ბზარების შევსება შესაბამისი შემადგენლობის ხსნარებით, რის შემდეგაც ბზარები უნდა ამოიგოზოს ასევე სპეციალურად მოძიებული შემადგენლობის საგოზავით.

ტექნოლოგი

თ. იაქაშვილი